დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109252831**

თარიღი:**10/10/2025**

,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის №2 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, საქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 63-ე მუხლისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 09 ოქტომბრის N:12-109252824-109 წერილის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. შეთანხმებულ იქნას და შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის №2 08 განკარგულების პირველი პუნქტით შეთანხმებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობაში და განკარგულების პირველ პუნქტს დაემატოს:

ა) (რიგით მეთვრამეტე) - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სპეციალისტი საარქივო

მასალების დამუშავებისა და კანცელარიის საქმისწარმოების საკითხებში - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი;

ბ) (რიგით მეცხრამეტე) - მუნიციპალური ინსპექციის სპეციალისტი ინსპექტორი დასუფთავებისა და შინაური ბინადარი ცხოველების რეგისტრაციის საკითხებში - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

2. განკარგულება ამოქმედდეს 2026 წლის 01 იანვრიდან.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქუჩა N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი